

## შეხების ნარატივები იზოლაციაში<sup>1</sup>

მარიამ ლეკვეიშვილი

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი, თსუ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

## Touch Narratives in Isolation

Mariam Lekveishvili

MSc in Psychological Anthropology, TSU, Faculty of Psychology and Education



---

<sup>1</sup> „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს COVID-19-თან დაკავშირებული იზოლაციის პირობებში სოციალურ მედიაში გამოვლენილი შეხების მითების/ნარატივების იდენტიფიკაციას, დოკუმენტაციასა და შესწავლას. კვლევის ფსიქოანთროპოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს ანთროპოლოგიის, სოციალური სემიოტიკის, კომუნიკაციისა და კოგნიტური მეცნიერების ინტერდისციპლინური კონცეფციები – განსხეულება და მულტიმოდალურობა. ამ ორ პერსპექტივაზე დაყრდნობით, კვლევა წარმოაჩენს კომუნიკაციაში სხეულებრივი და სოციალური გამოცდილების ორგანიზებას და ფოკუსირდება სხვადასხვა საკომუნიკაციო მოდალობის როლზე მნიშვნელობის შექმნის პროცესში. მიიჩნეულია, რომ ის რესურსები, რომელთაც ენა, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო არხი, გვთავაზობს, განპირობებულია ფუნქციებით, რომელთა დაკმაყოფილებასაც ემსახურება ხალხის კომუნიკაციური საჭიროებები. ადამიანები გამოხატავენ მნიშვნელობას კონკრეტულ დროსა და სოციალურ სიტუაციაში მათთვის ხელმისაწვდომი სემიოტიკური რესურსების მეშვეობით, ეს არჩევანი კი ყოველთვის განპირობებულია სოციალურად და რეგულირებულია გარკვეული დისკურსით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, გადაწყვიტეთ, გამოგვევლინა შეხების მითები/ნარატივები და შეგვესწავლა მათი რეპრეზენტაცია პანდემიით გამოწვეული იზოლაციისა და ფიზიკური შეხების ნაკლოვან პირობებში. კვლევისთვის რელევანტური მასალის მოძიების შემდეგ, ჩატარდა თემატური და მეტაფორული ანალიზი. ღია კოდირების მეშვეობით გამოიყო ის ძირითადი ნარატივები, რომლებიც გვხვდება ფიზიკური შეხების ნაკლოვან პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19, შეხება, იზოლაცია, განსხეულება, მულტიმოდალურობა, სოციალური დისტანცია.

## Abstract

*The purpose of the given research is to identify, document and study the myths/narratives regarding touching, manifested on social media in the context of COVID-19 isolation conditions. The psycho-anthropological framework of the research is the interdisciplinary concepts of anthropology, social semiotics, communication and cognitive science - embodiment and multimodality. Based on these two perspectives, the research demonstrates the organization of physical and social experiences in communication and focuses on the role of different communication modalities in the process of meaning-making. It assumes that the re-sources that language, as one of the communicative channels, offers, are conditioned by the functions and the communication needs of the people serve to meet these functions. People express meaning in a particular time and social situation through the use of semiotic resources available to them; this choice is always socially conditioned and regulated by a certain discourse. To illustrate aforementioned, we decided to identify myths/narratives of touching and study their representation in terms of pandemic-driven isolation and lack of physical contact. After finding relevant material for the research, thematic and metaphorical analysis was performed. Through the use of open coding, the main narratives found in the conditions of lack of physical contact were identified.*

**Key words:** Covid-19, Touching, Isolation, Embodiment, Multimodality, Social Distance.

## შესავალი

შეხება ერთ-ერთ ფუნდამენტურ როლს ასრულებს ადამიანის ფუნქციონირებაში, შესაბამისად, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის გამოცდილებაში, კულტურასა და კომუნიკაციაში. ის არის პირველი შეგრძნება, რომლითაც ადამიანები გარემოს შეცნობას იწყებენ და ცენტრალურია განვითარების პროცესში. როგორც ვმოქმედებთ სიტყვებით, ისევე ვმოქმედებთ შეხებითაც. ეს მოდალობა ძირეული მნიშვნელობისაა ადამიანისა და ტექნოლოგიის ურთიერთობისას, ამიტომ დღესდღეობით განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს შეხებით გაშუალებული კომუნიკაცია. იმის გათვალისწინებით, რომ შეხება ფუნდამენტურია და მნიშვნელოვნად არის მიბმული ადამიანის არსებობას, განცდასა და კომუნიკაციას, აუცილებელია, რომ მას სოციალური მეცნიერების ლინზითაც დავაკვირდეთ და მისი კვლევა ტექნოლოგიური დისციპლინის საზრუნავად არ დავტოვოთ, ამისთვის კი სენსორული ეთნოგრაფიისა და მულტიმოდალურობის მეთოდოლოგიური სინერჯია გარდაუვლია (Jewitt & Leder Mackley, 2019).

იმის მიუხედავად, რომ სხეულებრივი პრაქტიკების აღწერა ანთროპოლოგიურ ნაშრომებში მრავლად გვხვდება, შეხება და სხეული არც ანთროპოლოგიურ და არც ფსიქოლოგიურ დისციპლინებში სათანადოდ დაფასებული არ ყოფილა. სანაცვლოდ, ვიზუალური მოდალობა ყოველთვის უფრო პრივილეგირებულად მიიჩნეოდა (ერიქსენი, 2018). სხეულებრიობისა და შეხების მიმართ აქტიური ინტერესი 1970-იანი წლებიდან იწყება, რაც ე.წ. „ჰაპტიკური ხანის“ დადგომასა და ტექნოლოგიის განვითარებას უკავშირდება (Gallace & Spence, 2014). ანთროპოლოგიური შრომების მსგავსად, სხეულისა და შეხების როლი უკუგდებული იყო კოგნიტურ მეცნიერებაშიც. აქ სხეული/გონის დიქოტომიის გადაფასებასთან ერთად, ბოლო ათწლეულებში იმატებს ინტერესი სხეულებრიობის მიმართ. მიიჩნევა, რომ ადამიანი განსხეულებული არსებაა და ის ჩართულია ბიო-ფსიქო-სოციალურ კონტექსტში (Froese, 2019). იმის საპირისპიროდ, რომ ადამიანი განიხილოს გარემოსგან განცალკევებით, თანამედროვე კოგნიტური მეცნიერება მიიჩნევს, რომ ფიზიკურ მოვლენებს ადამიანებზე პირდაპირი გავლენა აქვთ, „სელფის“ აღქმა თუ ავად ყოფნა პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ სად ვიმყოფებით. ამრიგად, სხეულებრიობასა და გარემოში ჩართულობის იდეას მეტი ყურადღება ექცევა (Stevens, 2010). სხეულის მნიშვნელობის გადაფასებასთან ერთად იწყება მისი აქტიურად გამოყენება ეკოსომატურ ფსიქოლოგიაშიც, რომლის ფარგლებშიც ცეკვა და მოძრაობა საკვანძო მნიშვნელობისაა (Burns, 2012).

შეხების მნიშვნელობის გადაფასება და მის მიმართ მეცნიერული ინტერესი 2020 წლის პირველი ნახევრიდან კიდევ უფრო გაიზარდა. COVID-19 პანდემიის გამო შეხება საფრთხის შემცველი, აკრძალული და უპრეცედენტოდ დეფიციტური გახდა. 2020 წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ახალი ვირუსის გავრცელება გამოაცხადა, მოვლენები სწრაფად განვითარდა. საქართველოში კორონა ვირუსის პირველი შემთხვევა 27 თებერვალს<sup>2</sup> დაფიქსირდა. ინტერნეტ სივრცეში იმავე

<sup>2</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო [ვებგვერდი] <https://www.moh.gov.ge/ka/news/4974/>

დღეს გავრცელდა სუპერმარკეტებში დაცარიელებული დახლებისა და მაღაზიებში არსებული რიგების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა. პირველი და უმთავრესი, რაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად აიკრძალა, შეხება და პირდაპირი სოციალური კავშირის დამყარება იყო. ყოველდღიური წესრიგი ჩანაცვლდა ე.წ. „სანიტარული წესრიგით“. სამედიცინო დისკურსი კი სიტუაციის მართვის ყველაზე ეფექტურ ფორმად იქცა (მამინაშვილი, 2020).

ინტერნეტ სივრცეში გვხვდებოდა რჩევები, თუ როგორ მივესალმით ერთმანეთს მხოლოდ იდაყვისა ან ფეხის შეხებით, ჯარიმდებოდნენ ისინი, ვინც ქუჩებსა თუ მაღაზიაში არ დაიცავდნენ ორმეტრიან სავალდებულო დისტანციას, იკრძალებოდა მსუბუქ ავტომანქანაში ერთი ოჯახის წევრების გვერდიგვერდ ჯდომაც კი. ცხადია, შეხება, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე მოდალობა, ნაკლოვან, შეზღუდულ და უჩვეულო პირობებში აღმოჩნდა.

აღნიშნული კვლევის შთაგონებად იქცა კითხვა, თუ როგორ გამოვლინდებოდა სოციალურ მედიაში ტექსტურ და ვიდეო მასალაში შეხება ფიზიკური კონტაქტის ნაკლოვან პირობებში. ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა კვლევის მიზანიც, რომელსაც წარმოადგენს COVID-19-თან დაკავშირებული იზოლაციის პირობებში სოციალურ მედიაში გამოვლენილი შეხების მითების/ნარატივების იდენტიფიკაცია, დოკუმენტაცია და შესწავლა.

ვინაიდან ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ფარგლებში პიროვნება განიხილება როგორც სხეულებრივი და მნიშვნელობის მაკონსტრუირებელი აგენტი (ჩუბინიძე, 2018), მივიჩნევ, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია თავისი ინტერდისციპლინური ბუნებით კვლევის მიზნის გასახორციელებლად ყველაზე რელევანტურ პლატფორმას წარმოადგენს. აღნიშნული კვლევა ჩატარებულია ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

## შეხების ფიზიკური და სოციო-კულტურული შრეები

შეხებას, სხვა არავერბალური კომუნიკაციის ფორმების მსგავსად, თავისი ფილოგენეტიური და ონტოგენეტიური განვითარების ისტორია აქვს. ფილოგენეტიურ საწყისში ვგულისხმობთ იმას, რომ ჩვენს სახეობაში არავერბალური კომუნიკაცია ვერბალურზე ადრე განვითარდა. ადამიანი სტრესულ სიტუაციაში ვერბალურ კომუნიკაციასთან შედარებით არავერბალურ კომუნიკაციას ანიჭებს უპირატესობას და ამის მიზეზად ჩვენი ევოლუციური მემკვიდრეობა სახელდება (Hertenstein et al, 2006).

მერლინ დონალდი (მიიჩნევს, რომ განსხვავება ადამიანებსა და სხვა პრიმატებს შორის პრელინგვისტურია. სანამ ადრეული ჰომინიდები მეტყველებას დაიწყებდნენ, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, შეექმნათ საზრისი და ის ერთმანეთში გაეცვალათ კულტურული ფორმებით, მაგალითად, ხელსაწყობით. რეპრეზენტაციის მიმეტიკური დონე არის ბაზისი ადამიანური კომუნიკაციისთვის. დონალდი ამის საილუსტრაციოდ განიხილავს შეზღუდული სმენისა და მეტყველების მქონე ადამიანთა კოგნიტურ კომპეტენციასა და აფაზიის მქონე პაციენტების კომუნიკაციურ შესაძლებლობებს.

ადამიანები არც ენის განვითარებამდე და არც ახლა არ არიან სრულად ლინგვისტურ კომპეტენციაზე დამოკიდებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანის კოგნიციას აქვს რამდენიმე ფესვი და ზოგიერთი მათგანი სრულიად განსხვავდება დისკურსული ენისგან (Donald, 1991).

რაც შეეხება შეხების ონტოგენურ საწყისს, იგულისხმება ფაქტი, რომ ტაქტილური სტიმულაცია წინ უსწრებს ვერბალურ კომუნიკაციას. შეხება ყველაზე განვითარებული სენსორული მოდალობაა. ის ფუნდამენტურ როლს თამაშობს კომუნიკაციის პროცესში ცხოვრების პირველივე წელს. მშობლის მიერ ჩვილზე ზრუნვისას ბავშვები გამოიმუშავენ სივრცისა და დროის აღქმას მომვლელთან განშორება-შეერთებისა და მასთან კონტაქტის მეშვეობით. ბავშვის ალაპარაკებამდე ამ პროცესისთვის საფუძველი მომზადებულია შეხებისა და სხვა არავერბალური მოდალობების მიერ (Hertenstein et al, 2006).

ჰერტენშტაინი საძიებო პლატფორმებზე შეხებასა და მხედველობასთან დაკავშირებული კვლევების გაფილტვრისას აღმოაჩენს, რომ ადამიანებში მხედველობის შესასწავლად ჩატარებული კვლევები ცამეტჯერ აღემატება ცხოველებში მხედველობის შესწავლას, ხოლო შეხების შესასწავლად ჩატარებული კვლევები ადამიანებში სამჯერ ჩამორჩება ცხოველებისას. ჰერტენშტაინი სვამს კითხვას - რატომაა შეხების შესწავლა უკუგდებული? ამას მიზეზი ფილოსოფიაშიც მოეძებნება და მეთოდოლოგიაშიც. პლატონიდან მოყოლებული დასავლურ ფილოსოფიაში მხედველობა ყველაზე პრივილეგირებული მოდალობაა. დეკარტეც აღნიშნავს, ჩვენი ყოველდღიურობა დამოკიდებულია შეგრძნებებზე, თუმცა მხედველობა მათ შორის ყველაზე აღმატებულია და სხვა შეგრძნებებს შორის ყველაზე დიდ ძალაუფლებას ის გვანიჭებს. რაც შეეხება მეთოდოლოგიურ პრობლემებს, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ის საკვლევად ძალიან კომპლექსურია, არსებობს უამრავი სახის (ხახუნი, მოფერება, ჩქმეტა...) გააჩნია ინტენსიურობა, ტემპერატურა, სიხშირე, ხანგრძლივობა და ა.შ. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში გამოვლენილია შეხების 457 ტიპი. გარდა ამისა, შეხების ლაბორატორიული შესწავლა მისი სოციალური და ინტიმური ბუნებიდან გამომდინარე ძალიან რთულია (Hertenstein et al, 2006).

პარტნიორის და უცნობი ადამიანის შეხება, შესაძლოა, მსგავსი ტაქტილური რეცეპტორების აქტივაციას იწვევდეს, თუმცა შეხების სოციო-კულტურულ ასპექტზე საუბრისას, აშკარაა, რომ მათი აღქმა და თანმხლები ემოცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. დღემდე მცირე ინფორმაციას ვფლობთ იმ მექანიზმის შესახებ, თუ როგორ ხდება შეხების ემოციად თარგმნა, თუმცა აშკარაა, რომ შეხება ცდება კანის ზედაპირის უბრალო სტიმულაციას და ბევრად უფრო ღრმად აქვს ფესვი გადგმული.

შეხების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია საზღვრების დაწესებაა. რაიმეს/ვინმეს შეხებით „მე“ ხდება „ჩვენ“. თვალის დახუჭვისა და სხეულის მიყურადების შემთხვევაში, აუცილებლად ვიგრძნობთ მრავალ დეტალს, რომელიც აქამდე ყურადღების მიღმა გვრჩებოდა. როდესაც რაიმე გვაოცებს, ჩვენთვის მოულოდნელი ან უცხოა, მის რეალურობაში დასარწმუნებლად ვცდილობთ, შევხებით.

შეხება აღიქმება შეგრძნებად, რომლის მოტყუებაც შეუძლებელია, ის სამყაროს რეალურად აქცევს, შეიძლება ითქვას, რომ შეხება ინფორმაციულად ასაზრდოებს ხედვას (Gallace & Spence, 2014).

თომას ჩორდასი მიიჩნევს, რომ ადამიანი სხეულეზრივი გამოცდილების გავლენით ყალიბდება და სხეულის მეშვეობით შეგრძნებებისა და მნიშვნელობების ფართო სპექტრს აღიქვამს და გამოხატავს. ის, თუ როგორ ვიყენებთ და ვეპყრობით სხეულს არც პირობითია და არც ბიოლოგიურად განპირობებული, არამედ კულტურითაა ნაკარნახები (Csordas, 1994). ამრიგად, ჩორდასი მიიჩნევს, სხეული კულტურისგან განცალკევებით კი არა, შესაბამისი კულტურული და სოციო-ფსიქოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შევისწავლოთ (Ulland, 2012). ეყრდნობა რა მოსაზრებას, რომ სხეული კულტურის ბაზისია, ჩორდასი გვთავაზობს სხეულეზრიობას როგორც პარადიგმას ანთროპოლოგიისთვის (Csordas, 1990).

### სხეულეზრიობა და სხეულეზრივი კოგნიცია

კოგნიციის თანამედროვე კვლევები ეფუძნება ორ ფუნდამენტურ დაშვებას: ერთი მხრივ, ითვალისწინებს მოსაზრებას, რომ კოგნიცია წარმოშობილია გარემოსთან ადამიანის სხეულეზრივი ინტერაქციის მეშვეობით და შემდგომ, ამ იდეაზე დაყრდნობით, ფიქრობს, რომ აღნიშნული ინტერაქციების მეშვეობით სამყარო რეპრეზენტირებულია ჩვენს გონებაში. შესაბამისად, იგი აერთიანებს და გვთავაზობს ჰოლისტურ ურთიერთობას სხეულსა და გონებას შორის. იგი აძლიერებს მერლო-პონტის ფენომენოლოგიურ შეხედულებას კოგნიციაში სუბიექტური განცდის როლის შესახებ (ვინაიდან მიიჩნევს, რომ კოგნიცია წარმოშობილია გარემოსთან სხეულის ინტერაქციით) და პარალელურად თანხვედრაშია დიუის განგრძობითობის პრინციპთანაც, როდესაც საუბრობს სქემების, მოდელებისა და სისტემური ცოდნის მეშვეობით რეპრეზენტაციების გონებაში ასახვის შესახებ. დიუის მიხედვით, არ არსებობს წყვეტა აღქმას, შეგრძნებას, მოძრაობასა და ფიქრს შორის. სხეული და გონება ადამიანისთვის, როგორც ფსიქო-ფიზიკური არსებისთვის, ერთი მთლიანობაა (Leitan & Murray, 2014). აზროვნებაზე სხეულის გარემოსთან ურთიერთქმედების გავლენის საილუსტრაციოდ გამოდგება ვერტიკალურ გარემოში ცხოვრებისას წარმოშობილი მეტაფორები, როგორებიცაა „ამაღლებული განწყობა“, „ცხვირის ჩამოშვება“ და ა.შ. სხეული გავლენას ახდენს გამოცდილების ინტერპრეტაციაზეც, მოხრილმა დგომამ შეიძლება გააჩინოს უუნარობის განცდა (Bailey, Bailenson & Casasanto, 2016). ამის მსგავსად რიგ ავტორებთან კოგნიცია განიხილება, როგორც სხეულეზრივ და სოციალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული, თუმცა ენობრივად გაშუალებული პროდუქტი. ისინი ფიქრობენ, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი სხეულის განცდაა, რაც შემდგომ ენაში აისახება (Caballero & Paradis, 2015). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანთროპოლოგიურ დისციპლინაში ნიშანსა და მნიშვნელობას შორის ორგანიზმის, როგორც კავშირის გამაშუალებლად წარმოდგენა ასახულია ტერმინით „განსხეულება“ (ჩუბინიძე, 2018).

ამ ყოველივეს გათვალისწინებითა და გონება/სხეული დიქოტომიის უარყოფით, თანამედროვე კოგნიტური მეცნიერება აქტიურად ცდილობს გაითვალისწინოს ადამიანის სხეულეზრივი ინტერაქციის როლი გარემოსთან (Froese, 2019).

## მულტიმოდალური სოციალური სემიოტიკა

სოციალური სემიოტიკა ორიენტირებულია მნიშვნელობის შექმნის პროცესსა და მნიშვნელობის შემქმნელებზე. ის ეფუძნება ფუნქციონალურ ლინგვისტიკას, რომლის მიხედვითაც, ენა არის სოციალური პროდუქტი. ის რესურსები, რომელსაც ენა გვთავაზობს, განპირობებულია იმ ფუნქციებით, რომელთა დაკმაყოფილებასაც ემსახურება ხალხის კომუნიკაციური საჭიროებები. რობერტ ჰოჯმა და განტერ კრესმა (1988) მაიკლ ჰალიდის მიდგომა ენიდან ნიშნის შექმნამდე განავრცეს და განაცხადეს, რომ საზოგადოებები ქმნიან ყველანაირ სემიოტიკურ რესურსს, რათა მათ შეასრულონ გარკვეული სოციალური ფუნქციები, გამოხატონ სოციალური ჯგუფის ღირებულებები, ცოდნის სისტემა (დისკურსი), სტრუქტურა და ძალაუფლების როლები (Jewitt & Henriksen, 2016). ხოლო კრესმა და ლივენმა ნაშრომში „ხატების კითხვა: ვიზუალური დიზაინის გრამატიკა“ სოციალური სემიოტიკის მიდგომა განავრცეს ვიზუალურ მოდალობაზეც. ამგვარად, მომზადდა საფუძველი მულტიმოდალური სოციალური სემიოტიკისთვის (Kress & Leeuwen, 1996).

სემიოტიკური რესურსი გულისხმობს ქმედებებს, არტეფაქტებსა და იმ მასალას, რომელთაც ვიყენებთ კომუნიკაციური მიზნებით. მათი მნიშვნელობა ეფუძნება წარსულ გამონათქვამებს (utterances) და ისინი აქტუალიზებული არიან გარკვეულ სოციალურ კონტექსტში. პიროვნება ირჩევს სემიოტიკურ რესურსს მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების სისტემიდან. ამ დროს ერთმანეთს უკავშირდება სემიოტიკური რესურსი (აღმნიშვნელი) და მნიშვნელობა (აღსანიშნი). სხვა სიტყვებით, ხალხი გამოხატავს მნიშვნელობას მათ მიერ არჩეული სემიოტიკური რესურსების მეშვეობით, რომლებიც კონკრეტულ დროსა და სოციალურ სიტუაციაში მათთვის ხელმისაწვდომია. ეს არჩევანი ყოველთვის განპირობებულია სოციალურად და რეგულირებულია გარკვეული დისკურსით. ხელმისაწვდომობაში ვგულისხმობთ როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ და სოციალურ ხელმისაწვდომობას (Jewitt & Henriksen, 2016).

თავის მხრივ, მულტიმოდალურობა კომუნიკაციის შესასწავლი სემიოტიკური მიდგომაა. ის ერთდროულად უკავშირდება სემიოტიკას, კულტურის კვლევებს, ხელოვნების ისტორიასა და კინომცოდნეობას. მულტიმოდალური მიდგომა მიზნად ისახავს, აღწეროს, გაიაზროს, თუ როგორ ფორმირდებიან მატერიალური და სოციალური რესურსები სემიოტიკურ რესურსებად. სხვა სიტყვებით, როგორ აისახება ჯგუფის წევრების კომუნიკაციაში აღმნიშვნელები, რა სოციალური გამოყენება აქვთ მათ და როგორ ნარჩუნდებიან ისინი სოციალური ნორმებისა და კონვენციების სახით. მნიშვნელობის შექმნის პროცესს კი მულტიმოდალური მიდგომა სხვადასხვა მოდუსის შესწავლით იკვლევს (Jewitt & Leder Mackley, 2019).

მულტიმოდალური ანალიზი მოიცავს მიკროდაკვირვებებს (ხშირად ვიდეო ჩანაწერებს), როგორც დოკუმენტირების საშუალებას და სოციალური (ისტორიული და კულტურული) დროისა და სივრცის გათვალისწინებით ადარებს არტეფაქტის სემიოტიკურ და მოდალურ ასპექტებს ინტერაქციის პროცესში. პროცესი იწყება ზოგადი აღწერით, რათა მოვათავსოთ კომუნიკაცია უფრო ფართო კონტექსტში, გავარკვიოთ, მოცემულ სიტუაციაში რა სემიოტიკური რესურსებია ხელმისაწვდომი, როგორ ირჩევს და იყენებს ხალხი მათ, რა არჩევანს აკეთებენ და რა არის მათი მოტივაცია, თუ როგორ

არის მათი არჩევანი ფორმირებული ძალაუფლებით. მულტიმოდალურ ჭრილში არტეფაქტები და ინტერაქციის თანმიმდევრობა აღიქმება, როგორც ნიშნები, რომლებიც მომდინარეობს ხალხის ქმედებებიდან და ნიშნის შემქმნელის ინტერესი გაშუალებულია გარემოსთან, რომელშიც ნიშანი არის წარმოებული და იპოვა ახალი გამოხატულება (Jewitt & Leder Mackley, 2019).

სოციალური სემიოტიკური პერსპექტივა გვამღებს შანსს, მოვახდინოთ სოციალური ღირებულებების იდენტიფიკაცია და მათი როლი მნიშვნელობის შექმნის პროცესში ტექსტისა და სემიოტიკური არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე. ამ მიდგომით, როგორც წესი, მცირე შერჩევის ტექსტების შედარება ხდება, რაც ხშირად მისი კრიტიკის საბაზად იქცევა. როგორც ბევრ მიკროანალიტიკურ მიდგომას, მასაც მრავალი შეზღუდვა გააჩნია. იგი ფოკუსირებულია მცირე შერჩევის ტექსტებზე. წამოიჭრება შერჩევის, შედეგის კონსისტენტურობის, სწორი ინტერპრეტაციისა და განზოგადების პრობლემა. არსებობს მოსაზრება, რომ სოციალური სემიოტიკა თავად არ არის საკმარისი ტესტების სოციოლოგიური ინტერპრეტაციისთვის. ის ძლიერია დაფარული მნიშვნელობების ზედაპირზე ამოსატანად, ამიტომაც, რომ ხშირად სოციალური სემიოტიკური მულტიმოდალური მიდგომა გაერთიანებულია სხვა მეთოდებთან, მაგალითად, ფოკუს ჯგუფებთან, კონტენტ ანალიზთან და სხვ. (Jewitt & Henriksen, 2016).

## მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის მეთოდები ინდუქციურია და მიზნად ისახავს ხშირად გამოვლენილი ნარატივების აღწერა/იდენტიფიკაციას. საკვლევი მასალის მოსაძიებელი პროცედურები ციფრული ეთნოგრაფიის ფარგლებში ჩატარდა, რაც გულისხმობს სოციალური პრაქტიკების კვლევას დისტანციურად, სხვადასხვა მედია რესურსის გამოყენებით.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ინტერესის შესაბამისი რელევანტური ლიტერატურის გაცნობის შედეგად ჩამოყალიბდა კვლევის მიზანი, რომელსაც წარმოადგენს COVID-19-თან დაკავშირებული იზოლაციის პირობებში სოციალურ მედიაში გამოვლენილი შეხების მითები/ნარატივების იდენტიფიკაცია, დოკუმენტაცია და შესწავლა.

აღნიშნული მიზნის გასახორციელებლად შემუშავდა შემდეგი ამოცანები:

- თეორიული საინტერპრეტაციო ჩარჩოს შექმნა (შეხების მეცნიერული კონცეპტუალიზაციის პერსპექტივებად სხეულებრიობისა და მულტიმოდალურობის წარმოდგენა);
- კონცეპტუალური ჩარჩოს რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა (შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების განსაზღვრა);



- მონაცემების შეგროვება;
- მოპოვებული მონაცემების დამუშავება (თემატური და მეტაფორული ანალიზი).

## შერჩევა

საკვლევ კონტექსტს წარმოადგენს საგანგებო რეჟიმის დაწყებიდან დასრულებამდე სოციალურ პლატფორმებზე ატვირთული ვიდეო და ტექსტური მასალა, რომლის საკვანძო თემატიკა არის პანდემია/იზოლაცია და, ამასთანავე, რომელშიც განხილულია შეხება. მასალის მოძიების პროცესში დასახელებული სოციალური პლატფორმების საძიებო ველში ვუთითებდით შეხების, იზოლაციის, სოციალური დისტანციისა და პანდემიის სინონიმურ სიტყვებს. სტატუსების, კომენტარებისა და ვიდეო მასალის გაცნობის შემდგომ კი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე შევადგინეთ ბაზა, რომელიც მოიცავს 26 ტექსტურ და 12 ვიდეო ჩანაწერს. ღია კოდირების შედეგად ბაზა შედგება 74 კოდური ერთეულისაგან.

## გამოყენებული მეთოდები

### თემატური ანალიზი

აღნიშნული კვლევის ემპირიული ნაწილი თეორეტიკულ თემატურ ანალიზს ეფუძნება, ვინაიდან კოდირებული და დამუშავებულია ის მასალა, რომელიც საკვლევი თემისთვის იყო რელევანტური და მნიშვნელოვანი. კვლევის ფარგლებში არ ჩატარებულა ზედმიწევნითი კოდირება და ტრანსკრიპცია, როგორც ეს ინდუქციური თემატური ანალიზის შემთხვევაში იქნებოდა საჭირო (Maguire & Delahunt, 2017).

ემპირიული საფეხური არ დაწყებულა წინასწარ არსებული თემების გამოყოფით, არამედ თემები მოდიფიცირდებოდა ღია კოდირების მეშვეობით. თემები უმეტესად აღწერითი ხასიათისაა, რათა გამოგვევლინა კვლევის კითხვისთვის რელევანტური პატერნი.

თემატური ანალიზის ჩასატარებლად დავეყრდენით ბრაუნისა და კლარკის ექვსსაფეხურიან მოდელს (Brown & Clarke, 2006), აღნიშნული საფეხურებია:

1. მონაცემებთან გაცნობა და პოტენციური ინტერესის საგნის გამოვლენა;
2. საწყისი კოდების გამოყოფა;
3. თემების ძიება;
4. პოტენციური თემების გადახედვა;
5. თემების დასახელება და გამოყოფა;
6. ანგარიშის დაწერა.

### მეტაფორული ანალიზი

მნიშვნელობის შექმნის პროცესში არსებითია ანალოგიასა და მსგავსებაზე დაფუძნებული მხატვრული შედარებები, ამრიგად, მოძიებული მასალის დამუშავებისას საჭიროდ მივიჩნიეთ, განგვეხილა ვიდეო/ტექსტურ მასალაში გამოყენებული მეტაფორებიც. მეტაფორების შესწავლა გვაძლევს საშუალებას, მიკროდონეზე დავაკვირდეთ კოგნიციისა და კულტურის ინტერაქციას. მეტაფორები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მენტალური მოდელების, ანალოგიური განსჯისა და პრობლემის გადაჭრის ილუსტრაციები. უნდა ითქვას ისიც, რომ მეტაფორები გვაძლევს წვდომას არაცნობიერ, გამოუთქმელ ცოდნასა და ავტომატიზირებულ არაცნობიერ ქმედებაზე (Moser, 2000).

### შედეგების აღწერა

#### თემატური ანალიზი

კვლევის კითხვის შესაბამისი მასალის მოძიების შემდგომ, მივყევით რა ბრაუნისა და კლარკის ექვსსაფეხურიან მოდელს (Brown & Clarke, 2006), ღია კოდირების მემუშავებით გამოვავლინეთ ის ძირითადი თემები, რომლებიც გვხვდებოდა სოციალურ მედიაში შეხების შესახებ გამოქვეყნებულ ტექსტურ და ვიდეო ჩანაწერებში. მასალის დამუშავების შედეგად დავტოვეთ და ცხრილის სახით წარმოვადგინეთ მხოლოდ ის კოდური ერთეულები, რომელთა მსგავსი შინაარსის მქონე ფრაზებიც ხშირად მეორდებოდა. საბოლოოდ, ყველაზე გავრცელებული შინაარსის მქონე შვიდი ძირითადი ნარატივი გამოვლინდა, ესენია:

1. ტაქტილური დეპრივაცია
2. შეხება აკრძალულია
3. შეხების აღმოჩენა/გადაფასება
4. ფიზიკური შეხება ჩაუნაცვლებელია
5. შეხება, როგორც ემოციური დამატება
6. შეხება უფალთან
7. რეკონსტრუქციის ეიფორია

ფიზიკური შეხება ჩაუნაცვლებელია	შეხების აღმოჩენა/გადაფასება	შეხება, როგორც ემოციური დამატება
<ul style="list-style-type: none"> <li>• „ციფრულ ტექნოლოგიებზე დამყარებული კონტაქტები ამას [ფიზიკურ შეხებას] ვერ ჩაანაცვლებს.“</li> <li>• „თუ ეს ყველაფერი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• „აქამდე ვერ ვხვდებოდი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს... მისი შეხება... მანამ სანამ საბოლოოდ არ დავკარგე.“</li> <li>• „ეს რომ არ მომხდარიყო,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• „ფიზიკური შეხება (ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, ჩახუტება, გადაკოცნა და ა.შ.) ქართველებისთვის (სხვა ტემპერამეტიანი ერებისთვისაც)</li> </ul>

<p>[შეხებით გამოწვეული შეგრძნება] თუკი მანქანებით ჩანაცვლდება, რაც ვერ ჩანაცვლდება, რა თქმა უნდა, ესე იგი უკვე მკვდრები ვართ და ვირუსიც აღარ არის საშიში, შესაბამისად.“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „ვერანაირად ვერ გადასცემ ვერანაირი ონლაინტექნოლოგიებით რაც შეიძლება სულაც უსიტყვოდ, ერთი ხელის ჩამორთმევით, მხარზე ხელის გადახვევით, ჩახუტებით, ცოცხალი გაღიმებით გადასცე ადამიანს.“</li> <li>• „ადამიანის შეხება ისევე გჭირდება, როგორც ჰაერი.“</li> <li>• „დავიღალე დისტანციურად მოკითხვით. ადამიანი სოციალური არსებაა და უერთმანეთოდ შეუძლებელია ცხოვრება.“</li> </ul>	<p>ალბათ ვერასოდეს ვიგრძნობდი, რა პატარა გვიხარია და გვკლავს.“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „მე გავატარე კარანტინში 3 კვირა (რადიაციული იოდის მიღების გამო), ასე არასოდეს დამიფასებია ადამიანის შეხება არასოდეს დამავიწყდება ებ შეგრძნება.“</li> <li>• „თურმე როგორ მახედიერებდა და სითბოს მიღვირდა სულში.“</li> <li>• „ძალიან მიჭირს შეხვედრისას არ ჩავეხუტო ადამიანებს.“</li> <li>• „გარეთ გამოსვლა და ბევრი ჩახუტება მენატრება.“</li> <li>• „ძლიერდება არა „ვაზროვნებ, მამასადამე ვარსებობ“, არამედ „ვეხები, მამასადამე ვარსებობ!“</li> <li>• „ნეტავ, კორონამდე ყველას ნახულობდით? ნეტავ, კორონამდე ვინმეს თუ ნატრობდით? ანდა კორონამდე ვინმე გაგიტოვიათ? იქნებ, კორონამდე არც კი გიფიქრიათ, რამდენს ენატრებით, რამდენს გელოდებათ სახლში ტკბილი დედა, ბებო ანდაც ძალიან ან იქნებ კატაც, მაგრამ სად გეცალათ სითბოს გასაცემად, ისე იღლებოდით, თავი გისკდებოდათ...“</li> </ul>	<p>წარმოადგენს ურთიერთობების ემოციურ დამატებას.“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „[ფიზიკური შეხება] ურთიერთობებს უფრო დამაჯერებელს, სანდოს ხდის.“</li> <li>• „ჩახუტება მეტია, ვიდრე შეხება, ვიდრე ფიზიკური სიახლოვე.“</li> <li>• „ჩახუტებით ადამიანის გულს გრძნობ, მის სულს ეხები, იქ მოზობოქრე ვნებებს შეიგრძნობ.“</li> <li>• „ჩახუტებით ადამიანს მხოლოდ სითბოს კი არა, შენს თავს, შენს სამყაროს, შენს ყველა შიშსა და ნატვრას უზიარებ.“</li> <li>• „შეხებით გამოწვეული შეგრძნება, მიმიკა და ქესტიკულაცია, ხმის ვიბრაცია, ცოცხალი ენერგია და ემოცია - აი ეს არის ადამიანი.“</li> <li>• „არ ვიცი, როგორ გავაგრძელებ ცხოვრებას ამ დიდი სითბოს [ჩახუტების] გარეშე.“</li> <li>• „[შეხება] ის აუცილებელი ემოციური დამატება ყოფილა, რომლის გარეშე ჩვენი ტემპერამენტის ადამიანი თავს სრულიად გამოფიტულად გრძნობს და დიდხანს ვერ გაძლებს.“</li> </ul>
--	--	--

ტაქტილური დეპრივაცია	„შეხება უფალთან“
<p><b>ნეგატიური გავლენა პიროვნებაზე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„არც მშია, არც მწყურია, უბრალოდ, სამყაროსთან შეხების მოთხოვნილება მაქვს.“</li> <li>„შეხების რეცეპტორებმა მოიწყინეს.“</li> <li>„[კანი] მის კუთვნილს ითხოვს, არც თუ ისე მცირეს, თუ არ მიეცა მისი წილი, არსებობაშიც კი დაგაეჭვებს.“</li> <li>„პანდემიის ფონზე, (როცა) ადამიანური შეხება უპრეცედენტოდ დეფიციტური გახდა...“</li> <li>„რომ მიდიოდა ვინმე ჩემი სახლიდან ან მე მოვდიოდი, ასე ვიცოდი, ჩავეხუტებოდი და ვიტყოდი, ეს საგზაოთა... ახლა სულ გაღიზიანებული ვარ...“</li> <li>„[დიდი ხნის განმავლობაში შეხების გარეშე] მერე [ადამიანს] აშკარად დაეწყება ფსიქოლოგიური პრობლემები.“</li> <li>„რადგანაირად მოქმედებს ნებისმიერ ადამიანზე, როცა ხარ ოთხ კედელში გამომწყვდეული და არ შეგიძლია გარეთ გასვლა და ნორმალური კომუნიკაცია ადამიანებთან.“</li> <li>„მინდა მალე დადგეს ჩახუტების დღე.....დასრულდეს ობლობა...“</li> <li>„დისტანციამ კი უფრო საწყალი გახადა ისედაც მარტოსული ადამიანი.“</li> <li>„ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და რაც მთავარია, იმედის სითბო „...“ დისტანციამ დააჩქარა ეს [დაბერების] პროცესი.“</li> </ul> <p><b>ნეგატიური გავლენა ადამიანურ ურთიერთობებზე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„ტაბუმ ფიზიკურ შეხებაზე ურთიერთობები გახადა მშრალი და გაუცხოებული.“</li> <li>„[ფიზიკური შეხების გარეშე] ღარიბდება ადამიანებს შორის კავშირი.“</li> <li>„ახლა, როდესაც ვხვდები ახლობლებს და იმაზე ვფიქრობ არ მივუახლოვდე, რადგან ძალიან მტკივა, და დამშვიდობებისას ფეხის თრევით ვაგრძელებ გზას....დამშვიდობებისას კი კიდევ ჩავეხუტებოდი ხოლმე და ასე სიახლოვის სითბოთი ვაგრძელებდი გზას.“</li> <li>„ალბათ კიდევ დიდ დარტყმას ტკივილისას მაშინ ვიგრძნობთ, როდესაც ვერ მიუახლოვდები ადამიანებს, სითბო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>„მდინარე იორდანეს წყალი ვერასდროს ვერ შეძლებდა ადამიანთა ცოდვების განწმენდას, მაცხოვრის სხეულის შეხებით თავად რომ არ ყოფილიყო განწმენდილი. ხოლო ზიარების შედეგად ქრისტე თავად ჩვენ გვეხება და გვწმენდს.“</li> <li>„სხეულზე ვფიქრობთ დღისით და ღამით, ვერ ვიტანთ კანზე შეხებას ბუზის ...და ზოგი არც კი ფიქრდება წამით, სულში რამდენი ვირუსი უზის.“</li> <li>„იესოს კვართზე შეხებით კეთროვნები იკურნებოდნენ, უამრავი სენით დაავადებული მიდიოდა, რომ კაბის ბოლოზე შეხებოდა. ის ხალხი, რომელიც ერთი კოვზით ზიარებას ებრძვით, ახლიდან გააკრავდით ჯვარზე იესოს დღეს რო დაბადებულიყო.“</li> <li>„მას [ქრისტეს] შეეხო ადამიანი და განიკურნა, ჩვენც, როდესაც ვეძებთ სხულებრივ ჯანრმთელობას, ვეძებთ ხოლმე ხშირად, მაგრამ, პირველ ყოვლისა, უნდა ვეძებოთ სულიერი ჯანრმთელობა.“</li> <li>„სულიერი ცნობიერება ყოველთვის, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებული შემთხვევები ბევრიაირია, მაგრამ პრინციპში გენერირებს ხორციელ ჯანრთელობას და არა პირიქით“</li> <li>„ვის უნდა შევეხოთ? ვის უნდა მივმართოთ, ვის უნდა მოვუხმოთ ჩვენ? პირველ რიგში, უფალ ჩვენს იესო ქრისტეს. და, რა თქმა უნდა, ამას ვაკეთებთ კიდევ, თუნდაც, პირველ რიგში, იმითი, რომ ჩვენ ვეხებით ზიარებას. „შეეხო ბაგეთა ჩემთა, და მომიტევებს უსჯულოებასა ჩემსა, და ცოდვასა ჩემსა განწმენდს.“ ყველას გვეხება ეს მოძღვარსაც და მრევლსაც. როდესაც ეხება ადამიანი ქრისტეს ხორცსა და სისხლს იგი განიკურნება გვემულებისაგან.“</li> <li>„შეეხება ღვთის მადლი ჩვენს სულსა და გულს, როცა ჩვენ გულსა და გონებას ღვთის წინაშე გავხსნით. როცა შეეხება, შეეხო მარტო მის სამოსელს ხო და მეყსეულად, იმ მომენტში, იმ წამში შეიგრძნო თავისი სული, სხეულითაც იგრძნო რომ განიკურნა.“</li> </ul>

გაილო და მიილო... წარმოდგენაც მტკივა.“	
--	--

შეხება აკრძალულია	რეკონსტრუქციის ეიფორია
<ul style="list-style-type: none"> <li>• „ლიფტის და სხვა დილაკებს კნილსაჩუქჩნით [კბილის საჩიჩქნით, მ.ლ] დააჭირეთ და გადაადგეთ იმის და მიუხედავად ხელთათმანები გიკეთიათ თუ არა.“</li> <li>• „თვალეზი, ცხვირი და პირი უნდა იყოს დაცული. და რაც უფრო მნიშვნელოვანია ხელეზით შეხეზის საშუალება არ უნდა გქონდეს სახეზე.“</li> <li>• „იზრუნე მაღალი შეხეზის მქონე ზედაპირეზის სისუფთავეზე და დაიცავი შენი თანამშრომლეზის ჯანმრთელობა.“</li> <li>• „დავიზანოთ ხელეზი... დავიცვათ დისტანცია... კოცნეზისგან თავი შევიკავოთ... დავაცემინოთ ზრდილობიანად.“</li> <li>• „მოერიდეთ სხვა ადამიანეზთან კონტაქტს, კონტაქტის დროს აუცილეზლად გამოიყენეთ პირზადე, ხშირად დაიზანეთ ხელეზი საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლეზაში, ხოლო მათი არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ ალკოჰოლის შემცველი სადენზიფექციო საშუალება.“</li> <li>• „რას შეეზი? რას შეეზი? ხელი არ მოკიდო! რას შეეზი! ამხელა ქვეყანაში ვირუსია გავრცელებული და ხელი არ დავიზანია და ტელეფონს ხელს კიდეზ?“</li> <li>• „მალიან მალე დამთავრდება, დიდი იმედი მაქვს, მთავარი, დავრჩეთ სახლეში ყველა და ერმანეთთან თუ მოგვენატრება მაინცდამაინც მეგობრეზი და რალაც რომ ვნახავთ დავიცვათ დისტანცია, ამაზე კარგს ახლა ვერაფერს გავაკეთებთ.“</li> <li>• „გადავიტანე [სამკვირიანი კარანტინი] იმიტომ რომ სხვას რომ შეეხეზოდი დავაზიანებდი ...“</li> <li>• „პირველი იარაღი გახლავთ სოციალური დისტანცირება! სოციალური დისტანცირება! სოციალური დისტანცირება, წამალი - არა.“</li> <li>• „შეხეზის შემდეგ ხელი არაფერს ახლოთ, სანამ გულდასმით არ დაიზანოთ.“</li> <li>• „წარამარა დაიმუშავეთ ხელი ანტიბაქტერიულით და მაინც ეცადეთ არ შეეხოთ სახეს, თვალეზს, ცხვირს, პირს.“</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• „შეხეზითი ურთიერთობის შესუსტეზის პარალელურად გაძლიერდა დისტანციური თანადგომის გრძნობა, საყოველთაო სიკეთისა და სიყვარულის გამოსხივეზა, ადამიანეზი ცდილობენ დახმარება შემოგთავაზონ გქირდება თუ არ გქირდება, შეგიმსუბუქონ არსეზობა, თითქოს ყველა ერთ ქვაბში ვართ და ერთმანეთს ამოსვლაში ვეხმრეზით.“</li> <li>• „დისტანცია უფრო ზრდის მნიშვნელობას. შესაძლოა იყოთ ფიზიკურ დისტანციაზე, მაგრამ „გულებით“ უფრო დაუახლოვდეთ ერთმანეთს.“</li> <li>• „როდესაც დასრულდება ეს გაუგებრობა, ჩახუტეზის დღე უნდა ვიზეიმოთ, არა განცალკევეზას, არა დისტანციას, არა მშრალ ურთიერთობეზს.“</li> <li>• „თუ ცოტა ხნით მოვითმენთ და არ ჩავეხუტებთ მეგობრეზს, არ ვისერიწებთ ქუჩეზში, ან არ ვივლით სტუმრად, საშიში ინფექციის ძლიერი ჯაჭვი შეიძლება ნეზისმიერმა ადამიანმა გაწყვიტოს.“</li> <li>• „სახლეში დარჩი იცოდე, ძალა ერთობაშია!“</li> <li>• „იცოდე ღიმილით შეეხვდებთ ხვალ, ვინც ჩვენთვის იმეტეზს გულს!“</li> <li>• „როცა სახლეში დარჩება ყველა კუთხის ქართველი, მხოლოდ მაშინ დაინთება გამარჯვეზის სანთელი!“</li> <li>• „ბაზუაშენივით ბავშვეზს მოუყვეზი თვითიზოლაციის გმირობას.“</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• „რაც შეიძლება ვიყოთ ერთმანეთისგან დისტანცირებული!“</li> <li>• „ნუ დადიხართ ასე და ნუ ეხუტებით ერთმანეთს, დავცილდეთ ერთმანეთს, რა!“</li> </ul>	
--	--

ცხრილი 1.0 მოძიებული ვიდეო/ტექსტური მასალის თემატური ანალიზი

### მეტაფორული ანალიზი

მოძიებულ ვიდეო/ტექსტურ მასალაში ფეისბუქის მომხმარებლები მრავალფეროვანი მეტაფორებით ცდილობენ შეხებისა და მისი დანაკლისის გადმოცემას. ფიზიკური კონტაქტის გარეშე ურთიერთობა ხასიათდება, როგორც „მშრალი“: „*არა განცალკევებას, არა დისტანციას, არა მშრალ ურთიერთობებს*“ – „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვად დასახელებულია „უსიცოცხლო“. <sup>3</sup> შეიძლება ითქვას, დისტანცირებული ურთიერთობა განიხილება, როგორც არასრულყოფილი, ნაკლები და სიცოცხლისუნარიანობის არმქონე. აღნიშნული მეტაფორა სხვა მომხმარებლის სტატუსშიც გვხვდება: დისტანცირებულ ურთიერთობებზე მსჯელობისას ის დასძენს: „*ტაბუმ ფიზიკურ შეხებაზე ურთიერთობები გახდა მშრალი და გაუცხოებული.*“ გარდა ამისა, ავტორი მიიჩნევს, რომ შეხების აკრძალვა ადამიანებს ერთმანეთს აშორებს და ასეთი ურთიერთობა მოკლებულია სიახლოვეს, ადამიანები ერთმანეთისთვის უცხო ხდებიან. კიდევ ერთი მომხმარებელი ამატებს, რომ შეხების აკრძალვით „*ღარიბდება ადამიანებს შორის კავშირი*“ – ასეთი ურთიერთობები უფერული, გამარტივებული და ერთფეროვანია.

„*მინდა მალე დადგეს ჩახუტების დღე.....დასრულდეს ობლობა*“ – ობლობა განიხილება, როგორც ბედის ანაბარად, მარტოსულად და ეულად ყოფნა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში აღნიშნული მეტაფორა ხშირად გვხვდება უკიდურესი მარტოსულობის გამოსახატავად. <sup>4</sup> ყოველდღიურობა, რომელიც მოკლებულია ფიზიკურ კავშირსა და ჩახუტებას, სოციალურ ქსელში შედარებულია ობლობასთან.

„*შეხების რეცეპტორებმა მოიწყინეს*“ – სტატუსის ავტორი ამ მეტაფორით ცდილობს, გამოხატოს, რომ იძულებითი იზოლაცია და ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა ასატანზე ხანგრძლივი გამოდგა, რის გამოც კანში განთავსებული ნერვული დაბოლოებებიც კი დანაკლისსა და სევდას განიცდიან.

„*ალბათ კიდევ დიდ დარტყმას ტკივილისას მაშინ ვიგრძნობთ, როდესაც ვერ მიუახლოვდები ადამიანებს*“ – სტატუსის ავტორი ფიზიკური შეხების შეზღუდვას ფიზიკურ ტკივილთან აიგივებს, ამ მდგომარეობის უფრო მძაფრად გამოსახატავად კი ემოციურ მდგომარეობას „დიდ დარტყმას“ ადარებს.

„*ვერანაირად ვერ გადასცემ ვერანაირი ონლაინტექნოლოგიებით, რაც შეიძლება ... ჩახუტებით, ცოცხალი გაღიმებით გადასცე ადამიანს*“ – თემატური ანალიზის პროცესში

<sup>3</sup> იხ. ნეიმანი, ა. (1978). *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“.

<sup>4</sup> იხ. „უდაბნო“ (1913), „მე და ღამე“ (1913) და სხვ.

არაერთგზის გამოვლინდა შფოთვა, რომ პანდემიით გამოწვეული სოციალური იზოლაცია ვირტუალურ კომუნიკაციას უფრო და უფრო აქტუალურს გახდიდა, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებდა აქამდე არსებულ წესრიგს. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი კომუნიკაცია შედარებულია „ცოცხალს“. იმის მიუხედავად, რომ ერთნაირად ვიღობით ეკრანზე თუ ეკრანს მიღმა, „ცოცხალი“, ხელშესახები და პირდაპირი კომუნიკაცია ჩაუნაცვლებლად მიიჩნევა.

*„არც მშია, არც მწყურია, უბრალოდ, სამყაროსთან შეხების მოთხოვნილება მაქვს“* – ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ციტატის ავტორი გარესამყაროსთან ინტერაქციის აღსაწერად იყენებს „შეხებას“, შეხების ფუნდამენტურ მნიშვნელობას ამტკიცებს ისიც, რომ ეს სიტყვა სამყაროსთან კონტაქტის დამყარებასთან, ბუნებასთან თუ გარშემომყოფებთან კომუნიკაციის სინონიმური მნიშვნელობითაა გამოყენებული. გარდა ამისა, ავტორი „სამყაროსთან შეხებას“ ისეთ ბაზისურ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან ერთად განიხილავს, როგორებიცაა შიმშილი და წყურვილი.

*„თურმე როგორ მახედნიერებდა და სითბოს მიღვრიდა სულში“* – თემატური ანალიზის პროცესში საკმაოდ ხშირად მეორდებოდა ნარატივი, რომ შეხება აქამდე არასათანადოდ ყოფილა დაფასებული, აშკარა გახდა, რომ დანაკლისმა გამოიწვია მასზე ყურადღების გამახვილება და მისი მნიშვნელობის გადაფასება. წარსულზე რეფლექსიისას ავტორი ჩახუტების აღსაწერად იყენებს „სულში სითბოს ჩაღვრას“, როგორც სასიამოვნო, კომფორტის მომტანი და დამამშვიდებელი ემოციით ავსებას.

## დისკუსია

აღნიშნული კვლევის ფარგლებში დამუშავებული მასალის მიხედვით, შეიძლება ითქვას, უმეტესად ოთხი ტიპის ვიდეო/ტექსტური მასალა გვხვდებოდა, ესენია:

1. იზოლაციაში ჩაწერილი სოლო თუ ჯგუფური სიმღერები, რომლებიც გამაერთიანებელი, გამამხნეველი ხასიათისაა. ამ ტიპის სიმღერებში იზოლაციაში დარჩენა გმირობის ტოლფასად მიიჩნევა, ისმის მოწოდებები სახლში დარჩენის შესახებ, ნათელი მომავლის, თანადგომის, ამჟამინდელი დანაკლისის სამომავლო კომპენსაციისა და სხვა თემების შესახებ;
2. შეხების ამკრძალავი და გამაფრთხილებელი სამედიცინო/სამეცნიერო ტიპის ვიდეო/ტექსტური მასალა;
3. მრევლისა და საეკლესიო პირთა მიმართვები და ქადაგებები, რომლებშიც ღვთისმსახურები ამტკიცებენ, რომ ზიარებით ადამიანი ქრისტეს ეხება და, შესაბამისად, საერთო კოვზის გამოყენება ინფიცირების წყარო ვერ გახდება. ამ ტიპის ვიდეოებში აქცენტი სულის სიჯანსაღეზე კეთდება, გვხვდება მტკიცება, რომ ჯანმრთელი სული განაპირობებს ჯანმრთელ სხეულს და არა – პირიქით;
4. იუმორისტული სახის ვიდეოები/სტატუსები კორონა ვირუსის შესახებ, რომლებშიც ფეისბუქის მომხმარებლები უმეტესად ხუმრობენ შეხების აკრძალვის, სადეზინფექციო ხსნარის ხშირი გამოყენების შესახებ;

საგანგებო მდგომარეობის კრიტიკული პერიოდი დაემთხვა ქრისტიანებისათვის უდიდეს დღესასწაულს – აღდგომას. ჩვენ მიერ გამოვლენილი ერთ-ერთი ძირითადი ნარატივი – „შეხება უფალთან“ – უმეტესად აერთიანებს სასულიერო პირთა მსჯელობას, რომ ზიარებით ადამიანი ეხება ქრისტეს, ხოლო ის, რაც წმინდაა, ინფიცირების წყარო ვერ გახდება. აღნიშნული თემის დასათაურება აღებულია ქართველი ღვთისმსახურის ქადაგებიდან, რომელიც მრევლს მოუწოდებს, საყოველთაო პანდემიის მიუხედავად, ტაძარში იარონ და საერთო კოვზის გამოყენებით ქრისტეს ხორცსა და სისხლს ეზიარონ. მართლმადიდებელი მრევლის მტკიცება, რომ სააღდგომო ლიტურგიაზე დასწრებითა და ზიარებით კორონა ვირუსით ვერ დაინფიცირდებოდნენ, ეფუძნება რწმენას, რომ ზიარებისას მორწმუნე სიმბოლურად იღებს ქრისტეს ხორცსა და სისხლს – ხოლო, როგორც ერთ-ერთი მორწმუნის ნარატივში ვკითხულობთ: „*ზიარების შედეგად ქრისტე თავად ჩვენ გვებება და გვწმენდს*“. ემილ დიურკემის შემოქმედებაში საკრალურისა და პროფანულის გამიჯვნა არის უფრო სოციალური, ვიდრე მეტაფიზიკური. დიურკემის აზრით, საკრალური სიმბოლო, ანუ ღვთაებრივი ნიშანი, შეუძლებელია, რომ ვიხილოთ უშუალოდ, პირდაპირ, ამის სანაცვლოდ, ის მოგვეწოდება წმინდა სიმბოლოების სახით. წმინდა სიმბოლო, ამ შემთხვევაში, პური და ღვინო, წარმოადგენს ღვთაებრივის ამქვეყნიურ რეპრეზენტაციას. დიურკემი ამატებს იმასაც,

რომ რიტუალები არსებითი მნიშვნელობის არის რელიგიური რწმენისა და მისი ლეგიტიმაციის განსამტკიცებლად (დიურკემი, 2004). შესაბამისად, ლოგიკურია ღვთისმსახურებისა და მრევლის წინააღმდეგობა, უარი ეთქვათ სააღდგომო ლიტურგიისა და ზიარების სახეცვლილი ვერსიით ჩატარებაზე.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ხალხი აქტიურად ცდილობდა ერთმანეთის დაიმედებასა და გამხნევებას. სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდებოდა კორონა ვირუსის თემატიკაზე მორგებული და სახელდახელოდ გადაკეთებული ცნობილი სიმღერები, გაისმოდა მოწოდებები ერთიანობისა და ნათელი მომავლის რწმენის შესახებ. იმგვარი ფრაზებით, როგორცაა, „*როცა სახლში დარჩება ყველა კუთხის ქართველი, მხოლოდ მაშინ დაინთება გამარჯვების სანთელი!*“ – გამოხატული იყო რწმენა, რომ ერთიანობით, თანადგომითა და სახლში დარჩენით ადამიანები რეალობას გარდაქმნიდნენ და ისტორიას შეცვლიდნენ – „*ბაბუაშენივით ბავშვებს მოუყვები თვითიზოლაციის გმირობას*“. ამ ტიპის ნარატივები გაერთიანებულია „**რეკონსტრუქციის ეიფორიის**“ სახელწოდების ქვეშ. აღნიშნული დასათაურება ალუზიაა როლან ბარტის ესეზე „*პარიზში არ ყოფილა წყალდიდობა*“, რომელიც, პარადოქსულად, 1955 წელს პარიზში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ გვიამბობს. მკითხველი გაურკვევლობისგან თავისუფლდება, როცა ბარტი გვთავაზობს ფორმულას – „*ყოველდღიურობის ნებისმიერი წყვეტა მოასწავებს დღესასწაულს*“ (ბარტი, 2011:57). ფრანგი სემიოლოგი მსჯელობს იმ ეიფორიულ მუხტზე, რომელიც პრესამ ხალხის სოლიდარობის დინამიკაში გადაზარდა. მოქალაქეებს ჰქონდათ განცდა, რომ ერთიანობითა და თანადგომით გარდაქმნიდნენ რეალობას. როგორც საფრანგეთში, ისე საქართველოში, აქტიურად შუქდებოდა სტატისტიკური მაჩვენებლები, მოქალაქეები გაფაციცებით ელოდებოდნენ, თუ როდის მიაღწევდა ინფიცირებულთა რაოდენობა მაქსიმალურ ნიშნულს. ტექსტის დასკვნით ნაწილში როლან ბარტი პოსტკატასტროფულ აჟიოტაჟს უკავშირებს კიდობნის ბიბლიურ მითს, რომელიც ავტორის შეფასებით, ბედნიერი მითია. კიდობნის იღბლიან მკვიდრებს ხელუხლებელი



რეალობა ელოდათ, რომლის გარდაქმნის ასპარეზიც ახალი სამყარო იყო. ამ გზით ისინი შეასრულებდნენ დემიურგის როლს, რომელსაც აქვს ამბიცია ყოველივე საკუთარ ნებას დაუმორჩილოს (ზარტი, 2011).

მსგავსად პარიზის წყალდიდობისა, COVID-19-ის პანდემიამაც ამოატრიალა ჩვეულებრივი პერსპექტივა, ხალხი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იცავდა სახლიდან გასვლისას, უმრავლესობას ეკეთა ხელთათმანი და სათვალე, პირბადე და სადეზინფექციო ხსნარი კი აუცილებელ დანამატად იქცა. მართალია, რომ პანდემია და ხანგრძლივი იზოლაცია კოლექტივის ერთიანობას საფრთხის ქვეშ აყენებს, თუმცა, მეორე მხრივ, იქმნება ერთიანობის ვირტუალური განცდა. მთელი მსოფლიო გაერთიანდა საერთო მტრის წინაშე, რომელმაც ნაცვლად პოლიტიკური დისკურსისა, დაამყარა სანიტარული დისკურსი (მამინაშვილი, 2020). ერთ-ერთი მომხმარებლის სტატუსში ვკითხულობთ: *„შეხებითი ურთიერთობის შესუსტების პარალელურად გაძლიერდა დისტანციური თანადგომის გრძნობა, საყოველთაო სიკეთისა და სიყვარულის გამოსხივება, ადამიანები ცდილობენ დახმარება შემოგთავაზონ, გჭირდება თუ არ გჭირდება, შევიმსუბუქონ არსებობა, თითქოს ყველა ერთ ქვაბში ვართ და ერთმანეთს ამოსვლაში ვეხმარებით“*. სხვა მომხმარებელი ამატებს: *„დისტანცია უფრო ზრდის მნიშვნელობას. შესაძლოა იყოთ ფიზიკურ დისტანციაზე, მაგრამ „გულებით“ უფრო დაუახლოვდეთ ერთმანეთს“*.

თემატური ანალიზის შედეგად გამოვლენილ ნარატივებს შორის ყველაზე მასშტაბური გამოდგა **„ტაქტილური დეპრივაცია“**, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ორ ქვეთემას: „ნეგატიური გავლენა პიროვნებაზე“ და „ნეგატიური გავლენა ადამიანურ ურთიერთობებზე“. ამ თემის ქვეშ ერთიანდება ფრაზები, რომლითაც სოციალური ქსელის მომხმარებლები გამოხატავდნენ შეხების დანაკლისით გამოწვეულ წუხილს, სევდას, შფოთვისას და გაღიზიანებას. ამჟამინდელი სოციალური და ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, მოულოდნელი არ ყოფილა, რომ თემატური ანალიზის შედეგად გამოვლენილი ყველაზე ხშირი ნარატივი ტაქტილურ დეპრივაციას ეხება. სოციალური ქსელის მომხმარებლები ფიზიკური შეხების დანაკლისის აღწერისას ამბობდნენ, რომ იყვნენ გაღიზიანებულები, თავიანთ მდგომარეობას ადარებდნენ ობლობასა და დიდ დარტყმას, საუბრობდნენ შეხების დანაკლისის ნეგატიურ გავლენაზე, როგორც ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ისე ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე. პოზიტიური ტაქტილური სტიმულაციის ნაკლებობით გამოწვეულ სტრესზე, დეპრესიულ სიმპტომებზე, შფოთვისას და მარტოსულობის განცდაზე საუბრისას ხშირად იყენებენ ტერმინს – „კანის შიმშილი“ (Coffey, 2020). ნაშრომის თეორიულ ნაწილში ვისაუბრეთ შეხების ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ბავშვის განვითარების პროცესში, თუმცა, როგორც თემატური ანალიზიდან, ისე შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის შემდეგაც, ცხადია, რომ ტაქტილურ დეპრივაციას არანაკლები გავლენა აქვს ზრადსრულ ასაკშიც. ადამიანი ე.წ. „კანის შიმშილს“ მაშინ გრძნობს, როდესაც არსებობს შესამჩნევი განსხვავება მისთვის სასურველი პოზიტიური შეხების სიხშირესა და მის მიერ მიღებულ სტიმულაციას შორის (Park, 2020).

ასეთივე მასშტაბური თემა გამოდგა **„შეხება აკრძალულია“**. COVID-19 პანდემიის ბუნებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მოწოდებები სოციალური დისტანციის

დაცვისა და შეხების საფრთხის შესახებ განსაკუთრებული სიხშირით მეორდებოდა. აღნიშნული თემა აერთიანებს, როგორც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა, ისე მეცნიერებისა თუ სხვა მომხმარებლების მოწოდებებს, რომ დავიცვათ დისტანცია, არ შევხებოთ ერთმანეთს, ხელეები დავიბანოთ ხშირად და სხვ.

იზოლაციაში მყოფ პირებს საკმარისი დრო ჰქონდათ შეხების მნიშვნელობის გადასაფასებლად და წარსულზე რეფლექსიისთვის, „შეხების აღმოჩენა/ გადაფასება“ აერთიანებს ვიდეო/ტექსტურ წყაროებში დეფიციტური მოდალობისადმი გამოხატულ მონატრებასა და ნოსტალგიას, აქ განსაკუთრებით ხშირად მეორდება სევდა, რომ, რაც ბედნიერებითა და სითბოთი ავსებს ადამიანს, თურმე აქამდე დაუფასებელი და შეუმჩნეველი რჩებოდა.

სოციალური იზოლაციის პირობებში გამოვლინდა წუხილი ვირტუალური ურთიერთობების გადაჭარბებული სიხშირის გამო. ფეისბუქ მომხმარებლებს გაუჩნდათ შფოთვა, რომ ურთიერთობის ძველებურ ფორმებს საფრთხე ემუქრება და რომ შესაძლოა, ის ვირტუალურმა ურთიერთობამ ჩაანაცვლოს. ამრიგად, გამოვლინდა კიდევ ერთი ნარატივი – „ფიზიკური შეხება ჩაუნაცვლებელია“, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს მომხმარებელთა მოსაზრებებს უშალო სოციალური ინტერაქციისა და ფიზიკური კონტაქტის ჩაუნაცვლებელი ბუნების შესახებ. ყოველდღიური წესრიგის შეცვლაზე შფოთვას ლოგიკური საფუძველი აქვს, ჟურნალი „Time“-ის ინტერნეტ გამოცემამ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „*კორონა ვირუსმა მოკლა ხელის ჩამორთმევა და ჩახუტება. რა ჩაანაცვლებს მათ?*“ ცხადია, აღნიშნული სტატია შეხების ალტერნატივას ვერ გვთავაზობს, თუმცა, ხელის ჩამორთმევისა და ხშირი ფიზიკური კონტაქტის საფრთხის განხილვის პარალელურად, მასში ნახსენებია აშშ-ს წამყვანი ინფექციონისტი, ენტონი ფაუჩის, რეკომენდაცია, რომ ყოფითი თუ პროფესიული შეხვედრებისას, მისი აზრით, უმჯობესია, ერთმანეთს ხელი აღარასდროს ჩამოვართვათ (Oaklander, 2020). ამ ტიპის რეკომენდაციების გარდა, დაავადებების გადაცემის თავიდან არიდების მიზნით, წამყვანი ტექნოლოგიური სკოლები ცდილობენ, შექმნან ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც არ საჭიროებენ ხელის შეხებას და ფუნქციონირებენ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით (Cuthberston, 2020). ამ პირობებში ლოგიკურია, რომ გაჩნდა შფოთვა: „*თუ ეს ყველაფერი [შეხებით გამოწვეული შეგრძნება] თუკი მანქანებით ჩაანაცვლდება, რაც ვერ ჩაანაცვლდება, რა თქმა უნდა, ესე იგი უკვე მკვდრები ვართ და ვირუსიც აღარ არის საშიში, შესაბამისად*“.

კიდევ ერთ ძირითად თემას წარმოადგენს „შეხება, როგორც ემოციური დამატება“. ამ თემის ქვეშ გაერთიანებულია ციტატები, რომლებითაც ფეისბუქის მომხმარებლები ახასიათებენ ფიზიკურ შეხებას, როგორც ქმედებას, რომელიც ურთიერთობას დამაჯერებელსა და სანდოს ხდის, ადამიანებს ერთმანეთთან აახლოვებს და ენით გამოუთქმელი ემოციების ურთიერთგაცვლაში ეხმარება. ტექსტური/ვიდეო მასალის დამუშავების პროცესში გვხვდებოდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ შეხება ურთიერთობის ემოციური დამატებაა, რომ ის ურთიერთობას სრულყოფს და უფრო სანდოს ხდის (იხ. „შეხება, როგორც ემოციური დამატება“). მართლაც, შეხებას აქვს როგორც ფიზიოლოგიური, ისე ბიოქიმიური ეფექტები. ის ხელს უწყობს კორტიზოლის შემცირებას და გავლენა აქვს დოპამინისა და სეროტონონის გამოყოფაზე (Coffey, 2020). ზემოთ ჩამოთვლილი ეფექტების გარდა, პოზიტიური შეხება აუმჯობესებს იმუნურ

სისტემას, გავლენა აქვს ძილისა და საჭმლის მომწელებელი სისტემის რეგულაციაზეც (Mccluskey, 2020). ის ფაქტი, რომ „შეხება, როგორც ემოციური დამატება“ თემატური ანალიზის შედეგად გამოვლენილი ერთ-ერთი ძირითადი თემაა, ადასტურებს ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულ მოსაზრებას, რომ შეხება მეტია, ვიდრე კანის ზედაპირის უბრალო სტიმულაცია. მომხმარებლების ტექსტები იმის შეხებ, რომ შეხება ურთიერთობას დამაჯერებელსა და სანდოს ხდის, ეხმიანება თეორიულ მსჯელობას, რომ შეხება სამყაროს რეალურად აქცევს და ინფორმაციულად ასაზრდოებს ხედვას (Gallace & Spence, 2014).

აღნიშნული ნაშრომი მულტიმოდალური კვლევის მცდელობას წარმოადგენს, მონაცემების ანალიზისას ფოკუსირებულია ინტერაქციაზე, რომელიც წარმართულია ჩარევის გარეშე, ეყრდნობა ტექსტურ ანალიზსა და ეთნოგრაფიულ მეთოდებს. როგორც ნაშრომის თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, მულტიმოდალური ნიშნის შექმნის თეორია იზიარებს დაშვებას, რომ ენა, როგორც სოციალური პროდუქტი, გვთავაზობს იმ ფუნქციებს, რომელთა დაკმაყოფილებაც ემსახურება ხალხის კომუნიკაციურ საჭიროებებს. ხოლო სემიოტიკური რესურსები, რომელთაც ხალხი იყენებს გარკვეულ სოციალურ კონტექსტში, აქტუალიზებული ხდებიან მათი კულტურული და სოციალური ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ლოგიკური და გასაგები ხდება ის მეტაფორები, რომლებიც მასალის მოძიებისას შეგვხვდა. ფრაზა – „სამყაროსთან შეხების მოთხოვნილება მაქვს“ – აერთიანებს იმ დანაკლისს, რომელსაც იზოლაციაში მყოფი, ფიზიკურ შეხებასა და „ცოცხალ ღიმილს“ მონატრებული ის ადამიანი განიცდის, რომელიც ნაცნობებთან ჩახუტების აკრძალვას ფიზიკურ ტკივილს ადარებს, ხოლო ასეთ ურთიერთობებს „მშრალად“ და „გაღარიბებულად“ აღიქვამს. მეტაფორული ანალიზის შედეგად, მარტივად შესამჩნევია, რომ ადამიანები პირდაპირ ინტერაქციას სიცოცხლესთან, მრავალფეროვნებასა და ემოციურ სრულყოფასთან აიგივებენ, ხოლო ვირტუალური და შეხების დანაკლისის მქონე ურთიერთობის დასახასიათებლად იყენებენ უსიცოცხლოსა და გაღარიბებულის სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებს.

### კვლევის ლიმიტაცია და სამომავლო კვლევის რეკომენდაცია

აღნიშნული ნაშრომის ემპირიული ნაწილი ეფუძნება რა მულტიმოდალურ პარადიგმას, წარმოადგენს მიკროანალიტიკურ მიდგომას, რასაც, თავის მხრივ, არაერთი შეზღუდვა ახლავს.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია მცირე შერჩევის ვიდეო/ტექსტური მასალა, რაც არ გვაძლევს საშუალებას, რომ გავაკეთოთ საიმედო პროგნოზი სწორი ინტერპრეტაციის, განზოგადებისა და შედეგის მუდმივობის შესახებ.

მთავარი შეზღუდვა, რასაც საყოველთაო პანდემიიდან გამომდინარე კვლევის პროცესში წავაწყდით, ველზე გასვლის შეუძლებლობა და რესპონდენტებთან პირდაპირი კავშირის დამყარების აკრძალვა იყო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამომავლო ნაშრომისათვის უმთავრეს რეკომენდაციას წარმოადგენს კვლევის მასშტაბის გაზრდა და მისი დაკავშირება

სენსორულ ეთნოგრაფიასთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცდისპირებთან ინტერაქციასა და კვლევის გაერთიანებას ისეთ მეთოდებთან, როგორებიცაა ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, ჩართული დაკვირვება და სხვ.

საბოლოოდ, აღნიშნული კვლევის შედეგები, მცირე შერჩევის მიუხედავად, თანხვედრაშია ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულ ლიტერატურასთან, იძლევა საფუძველს სამომავლო, უფრო მასშტაბური კვლევისთვის, რომელშიც მიკროანალიტიკური მიდგომა და ციფრული ეთნოგრაფია გაერთიანდება სენსორულ ანთროპოლოგიასთან და შეხება სიღრმისეულად იქნება შესწავლილი სოციალური მეცნიერების ლინზით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბარტი, რ. (2011). *მითოლოგიები*, თბილისი, აგორა, გვ. 56-60.

დიურკემი, ე. (2004). *რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები*, თბილისი: იოანე პეტრიწი.

ერიქსენი, თ. ჰ., (2018). *მცირე ადგილები, ვრცელი საკითხები*, ხალვაში, თ., დავითაძე, ლ. (რედ) გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

მამინაშვილი, გ. (2020). „ფსიქოვიზუოლოგია“ – პანდემიის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია, მოძიებულია საიტზე: [psychoanalysis.ge](http://psychoanalysis.ge)

ჩუბინიძე, დ. (2018). *ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები* [დისერტაცია ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად]. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Bailey, J., Bailenson, J., Casasanto, D. (2016). When does virtual embodiment change our minds?. *Presence: Teleoperators and Virtual Environments*, 25, 3, 222-233. DOI: [https://doi.org/10.1162/PRES\\_a\\_00263](https://doi.org/10.1162/PRES_a_00263)

Braun, V. and Clarke, V. (2006) Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology*, 3 (2). pp. 77-101.

Burns, Cheryl. (2012). Embodiment and embedment: Integrating dance/movement therapy, body psychotherapy, and ecopsychology. *Body, Movement and Dance in Psychotherapy*. 7:1, 39-54. DOI: 10.1080/17432979.2011.618513.

Caballero, Rosario & Paradis, Carita. (2015). Making sense of sensory perceptions across languages and cultures. *Functions of Language*. 22. 10.1075/fo1.22.1.01cab.

Coffey, H. (2020). Affection deprivation: What happens to our bodies when we go without touch? *The Independent*, retrieved from <https://www.independent.co.uk>.

Csordas, T. (1994). *Embodiment and experience: the existential ground of culture and self*. Cambridge: Cambridge University Press.

- Csordas, T. (1990). Embodiment as a paradigm for Anthropology. *Ethos*, 18 (1):5-47. Cuthberston, A. (2020). 'Touchless Touchscreen' Could Fight Future Epidemics, Researchers Say''. *The Independent*. retrieved from <https://www.independent.co.uk/>
- Donald, M. (1991). *Origins of the Modern Mind: Three Stages in the Evolution of Culture and Cognition*. Cambridge: Harvard University Press.
- Froese, T (2019). Book Review: Embodiment, Enaction, and Culture: Investigating the Constitution of the Shared World. *Front. Psychol.*, <https://doi.org/10.3389/fpsyg.2019.01853>
- Gallace, A., & Spence, C. (2014). *In touch with the future: The sense of touch from cognitive neuroscience to virtual reality*. Oxford: Oxford University Press. 10.1093/acprof:oso/9780199644469.001.0001.
- Hertenstein, M. J., Verkamp, J. M., Kerestes, A. M., & Holmes, R. M. (2006). The communicative functions of touch in humans, nonhuman primates, and rats: a review and synthesis of the empirical research. *Genetic, social, and general psychology monographs*, 132(1), 5–94.
- Jewitt, C., & Henriksen, B. (2016). *Social Semiotic Multimodality*. 10.1515/9783110296099-007.
- Jewitt, C., & Leder Mackley, K. (2019). Methodological dialogues across multimodality and sensory ethnography: digital touch communication. *Qualitative Research*, 19(1), 90–110. <https://doi.org/10.1177/1468794118796992>
- Kress, G. R., & Van, L. T. (1996). *Reading images: The grammar of visual design*. London: Routledge.
- Leitan, N. D., & Murray, G. (2014). The mind-body relationship in psychotherapy: grounded cognition as an explanatory framework. *Frontiers in psychology*, 5, 472. doi:10.3389/fpsyg.2014.00472
- Maguire, M., & Delahunt, B. (2017). Doing a thematic analysis: A practical, step-by-step guide for learning and teaching scholars.. *All Ireland Journal of Higher Education*, 9(3). Retrieved from <https://ojs.aishe.org/aishe/index.php/aishe-j/article/view/335>
- Mccluskey, M. (2020). The Coronavirus Outbreak Keeps Humans from Touching. Here's Why That's So Stressful. *Time*, retrieved from <https://time.com/5817453/coronavirus-human-touch/>
- Moser, K. S., (2000). Metaphor Analysis in Psychology—Method, Theory, and Fields of Application. Available at: <https://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1090/2387>
- Oaklander, M., (2020). The Coronavirus Killed the Handshake and the Hug. What Will Replace Them? *Time*. Retrieved from <https://time.com/5842469/coronavirus-handshake-social-touch/>
- Park, W. (2020). Why human touch is so hard to replace, *BBC*, retrieved from <https://www.bbc.com/future/article/20200706-why-human-touch-is-so-hard-to-replace>
- Stevens, P. (2010). Embedment in the environment: a new paradigm for well-being? *Perspectives in Public Health*, 130(6) pp. 265–269.
- Ulland, D. (2012). Embodied Spirituality. *Archive for the Psychology of Religion*, 34(1), 83–104. <https://doi.org/10.1163/157361212X645340>